

# ბუღბუღის გარობა



**საქართველოში გვხვდება**  
**ბუღბუღს 2**  
**სახეობა.** ჩვეულებრივი  
ბუღბუღის სხეული 160-190 მმ  
სიგრძისაა, იწონის 25  
გრამამდე. გავრცელებულია  
აღმოსავლეთ ევროპაში და  
დასავლეთ ციმბირში.  
საქართველოში მხოლოდ

მიმოფრენისას (აპრილ-მაისსა და აგვისტოში) გვხვდება.

სამხრეთური ბუღბუღი მობუდარი გადამფრენი ფრინველია. გავრცელებულია დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში და წინა და შუა აზიაში. საქართველოშია აპრილიდან სექტემბრამდე. ბინადრობს ბუჩქნარში, წყაროების, მდინარეების ნაპირებზე, ტყისპირებში, მთის ფერდობებზე და ბაღებში; უყვარს წყლის სიახლოვე. მაისის ბოლოს დებს 4-5 კვერცხს, კრუხობა 2 კვირამდე გრძელდება. იკვებება მწერებით, იშვიათად კენკრით. ბუღბუღი საუკეთესო მგარობელი ფრინველია.

<https://www.youtube.com/watch?v=1iyH4KfLly4&feature=youtu.be>